საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია" - მე -5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში **პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის შერჩევის მიზნით.**

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 25 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 30 იანვრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი",** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა **– 2**;

კონკურსის შედეგად, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 2 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1300 ლარის ოდენობით.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
ბ) პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
გ) სასწავლო მოდულების/ პროგრამების სპეციფიკის ცოდნა;
დ) მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნის გამოცდილება;
ე) ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) შერჩეული კომპეტენციებისათვის მოდულებისა და მეთოდოლოგიის შექმნაში მონაწილეობა:
ა.ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის 4 მოდულის (კულინარიის, კონდიტერიის, ხის სამუშაოების და ელექტროობის) **ან** (მევენახეობის, რძის პროდუქტების მიღების, მებოსტნეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურების) სწავლის შედეგებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტების ინტეგრირება და მასწავლებლის გზამკვლევში შესაბამისი აქტივობების ასახვა.

ბ) აქტივობების გაწერის განხორციელება დარგობრივ ექსპერტებთან და ფსიქოლოგთან ერთად.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.